ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/21 გადაწყვეტილების
დანართი N 1

(კოდიფიცირებულია ცვლილებებით/დამატებებით:
N07-01/51; 30.11.2022; N07-01/17, 27.04.2023;
N07-01/56 ; 17.11.2023; N07-01/58; 24.10.2024; N07-01/02, ***19.02.2025)***

ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის (შემდეგში ,,პერსონალი“/,,დასაქმებული“) პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში - კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე (შემდგომში - ,,სამეცნიერო ღონისძიება"), ტრეინინგები, სეზონური სკოლები ან/და სხვა სამუშაო შეხვედრები (შემდგომში - ,,ღონისძიება"/"ტრეინინგი") მონაწილეობის დაფინანსების მოპოვების პროცედურას, ასევე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების ღონისძიების გამოყენების რეგულაციას.
2. ბსუ-ში დასაქმებული უფლებამოსილია ერთი კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 30 დღის ვადით პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობა მიიღოს როგორც ბსუ-ს ღონისძიებაში (საუნივერსიტეტო/ საფაკულტეტო ან სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანიზებული ღონისძიება), ასევე, საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, დასწრებით ან ონლაინ/დისტანციურად და წინამდებარე წესის შესაბამისად მიიღოს სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება ბსუ-ს ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში.
3. წინამდებარე წესით გათვალისწინებულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის განსაზღვრული დაფინანსების თანხა შეიძლება მოთხოვნილი იქნეს ღონისძიებაში მონაწილეობის სარეგისტრაციო მოსაკრებლის ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მივლინების ხარჯის გასაწევად/ ასანაზღაურებლად.
4. ამ წესით გათვალისწინებულ ღონისძიებაში დასაქმებულის მონაწილეობის დაფინანსების თაობაზე სამართლებრივ აქტს გამოსცემს ბსუ-ს რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მათი კომპეტენციის შესაბამისად.
5. ბსუ-ში დასაქმებული უფლებამოსილია პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღოს თვითდაფინანსებით. ასეთ შემთხვევაში, დასაქმებულის სამუშაო ადგილზე არყოფნის გამო შრომითი ურთიერთობის შეჩერების ან სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლის თაობაზე გადაწყვეტილებას, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით (სამსახურებრივი ბარათით), იღებს რექტორი ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მათი კომპეტენციის

შესაბამისად (გადაწყვეტილება აისახება შესაბამის ვიზირებაში ან/და ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ამზადებს სამართლებრივ აქტს).

მუხლი 2. დაფინანსების თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძვლები

1. ამ წესით გათვალისწინებულ ტრეინინგში/ღონისძიებაში (გარდა სამეცნიერო ღონისძიებისა) დასაქმებულის მონაწილეობის დაფინანსების თაობაზე **სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველი შეიძლება იყოს:**

ა) **აკადემიური თანამდებობის** პირის შემთხვევაში - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (ან ფაკულტეტის დეკანის) სამსახურებრივი ბარათი, რომელიც ვიზირებული უნდა იქნეს ფაკულტეტის დეკანის (ან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის), რექტორის შესაბამისი მოადგილის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ;

ბ) **სამეცნიერო თანამდებობის** პირის შემთხვევაში - შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის სამსახურებრივი ბარათი, რომელიც ვიზირებული უნდა იქნეს რექტორის შესაბამისი მოადგილის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ;

გ) **ადმინისტრაციული თანამდებობის** პირის შემთხვევაში - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათი, რომელიც ვიზირებული უნდა იქნეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ (ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის შემთხვევაში, ჯერ ვიზირებული უნდა იქნეს ფაკულტეტის დეკანის მიერ);

დ) **დამხმარე პერსონალის** (ბსუ-ს საშტატო ერთეულზე დასაქმებულის და არასაშტატო პოზიციაზე, შრომითი ხელშეკრულებით 1 წელზე მეტი ვადით დასაქმებულის) შემთხვევაში - შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (სასწავლო ან სამეცნიერო კვლევითი პროცესების მართვის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ან პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში დასაქმებულის შემთხვევაში, ინიციატივა/სამსახურებრივი ბარათი ვიზირებული უნდა იქნეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და რექტორის შესაბამისი მოადგილის მიერ).

2. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მიერ სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენციები, სემინარები, კონგრესი, ფორუმები) მონაწილეობის დაფინანსების შესახებ სამართლებრივი აქტი გამოიცემა წინამდებარე წესის შესაბამისად გამოცხადებული და ჩატარებული **კონკურსის შედეგების გათვალისწინებით**, რექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

მუხლი 3. დაფინანსების ინიციატივა

1. ამ წესით გათვალისწინებულ ტრეინინგში/ღონისძიებაში (გარდა სამეცნიერო ღონისძიებისა) მონაწილეობის დაფინანსების შესახებ ბსუ-ს დასაქმებულის წერილობითი ინიციატივა (შედგენილი წინამდებარე წესზე თანდართული **N1 ფორმის** შესაბამისად) საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის საშუალებით უნდა წარედგინოს:

ა) **აკადემიური თანამდებობის** პირის შემთხვევაში - შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს;

ბ) **სამეცნიერო თანამდებობის** პირის შემთხვევაში - შესაბამისი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს.

გ) **ადმინისტრაციული თანამდებობის** პირის შემთხვევაში - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს.

დ) **დამხმარე პერსონალის** (ბსუ-ს საშტატო ერთეულზე დასაქმებულის და არასაშტატო პოზიციაზე, შრომითი ხელშეკრულებით 1 წელზე მეტი ვადით დასაქმებულის) შემთხვევაში - შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

2. ტრეინინგში/ღონისძიებაში (გარდა სამეცნიერო ღონისძიებისა) მონაწილეობის დაფინანსების წერილობით ინიციატივას (დაფინანსების განაცხადს) **უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

ა) ინფორმაცია ტრეინინგის შესახებ (თემატიკა ან/და სავარაუდო სამუშაო გეგმა; ჩატარების ადგილი, თარიღი და ფორმატი; ორგანიზატორი დაწესებულება ან/და სხვ.);

ბ) სხვა დოკუმენტაცია, რასაც ითვალისწინებს შესაბამისი ღონისძიება და საჭიროა დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“-,,დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირები დასაქმებულის დაფინანსების განაცხადს განიხილავენ და განაცხადის მიღებიდან **5** სამუშაო დღის ვადაში დასაბუთებულ სამსახურებრივ ბარათს წარუდგენენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს/რექტორს (კომპეტენციის შესაბამისად).

მუხლი 4. აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის პირის ტრეინინგში/ ღონისძიებაში (გარდა სამეცნიერო ღონისძიებისა) მონაწილეობის დაფინანსების განაცხადის განხილვის წესი

1. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის პირის ტრეინინგში/ღონისძიებაში (გარდა სამეცნიერო ღონისძიებისა) მონაწილეობის დაფინანსების განაცხადის განხილვის მიზნით ფაკულტეტის საბჭოს/სამეცნიერო საბჭოს სხდომის გამართვამდე ფაკულტეტის დეკანი/ინსტიტუტის დირექტორი გამართავს საკონსულტაციო შეხვედრას ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან (საჭიროების შემთხვევაში საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ჩართულობით), დასაქმებულის ღონისძიებაში მონაწილეობის მიზანშეწონილობის და ბსუ-ს ბიუჯეტთან შესაბამისობის საკითხის პირველადი განხილვისათვის.

2. ფაკულტეტის საბჭოს/სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაფინანსების განცხადების/ინიციატივის საკითხის განხილვისას ფაკულტეტის დეკანი/ინსტიტუტის დირექტორი საბჭოს წევრებს მოახსენებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკითხის პირველადი განხილვის შედეგებს.

3. ფაკულტეტის საბჭო/სამეცნიერო საბჭო ფაკულტეტის დეკანის/ინსტიტუტის დირექტორის მოხსენებისა და ინიციატივის განხილვის შედეგად ღებულობს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ინიციატივის დაკმაყოფილების და სრული დაფინანსების თაობაზე;

ბ) ინიციატივის დაკმაყოფილების და ნაწილობრივ დაფინანსების თაობაზე;

გ) ინიციატივის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

4. ფაკულტეტის საბჭოს/სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს დასაბუთებას ფაკულტეტის/ინსტიტუტის საგანმანათლებლო/სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და დასაქმებულის პროფესიული განვითარების/ კვალიფიკაციის ამაღლების

მიზნით წარმოდგენილი განცხადების დაკმყოფილების მიზანშეწონილობის ან/და მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლების შესახებ.

5. დაფინანსების საკითხის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ დასაქმებულისათვის 1 კალენდარული წლის განმავლობაში **გაცემული თანხა არ უნდა აღემატებოდეს:** ქვეყნის გარეთ (უცხოეთში) გასამართი საერთაშორისო ღონისძიების (მივლინების) შემთხვევაში - 1000 ლარს, ხოლო ქვეყნის შიგნით გასამართი ღონისძიების (მივლინების) შემთხვევაში - 400 ლარს.

მუხლი 5. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მიერ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის დაფინანსების მიღების წესი

1. ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ქვეყნის გარეთ (უცხოეთში) გასამართ სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენციები, სემინარები, კონგრესი, ფორუმები) მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე.

2. კონკურსი ცხადდება კალენდარული წლის განმავლობაში 4-ჯერ (გასამართი ღონისძიებების პერიოდი: **1.** იანვარი-მარტი; 2. აპრილი-ივნისი; 3. ივლისი-სექტემბერი; 4. ოქტომბერი-დეკემბერი), ბსუ-ს რექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტებისათვის/ინსტიტუტებისათვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში. *(ცვლილება - N07-01/56 ; 17.11.2023)*

3. კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით განისაზღვრება:

ა) საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების, კონკურსის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები და პირობები (უნდა ითვალისწინებდეს კონკურსის დასრულებიდან არანაკლებ 2 და არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში ჩასატარებელ ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსების შესაძლებლობას).

ბ) საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, რომელშიც შედიან რექტორის მოადგილ(ებ)ი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი და ფაკულტეტის დეკანები ან თითოეული ფაკულტეტის საბჭოს/ადმინისტრაციის 1 წარმომადგენელი და კველევითი ინსტიტუტის დირექტორები ან თითოეული სამეცნიერო საბჭოს 1 წარმომადგენელი.

გ) თითოეული ფაკულტეტისათვის/ინსტიტუტისათვის განსაზღვრული დაფინანსების მოცულობა (მათ შორის, შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს დაფინანსების გარკვეული მოცულობა მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერებისათვის - პირები, რომელებმაც კონკურსის გამოცხადებამდე 7 წლის განმავლობაში მოიპოვეს დოქტორის აკადემიური ხარისხი და ასაკი არ აღემატება 35 წელს).

4. კომისიის წევრი ვალდებულია კონკურსის ეტაპების დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საკონკურსო განაცხადის ობიექტურად შეფასებასა და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში (მაგალითად, თუ კომისიის წევრი თანაავტორია, ან კონკურსანტის უშუალო ხელმძღვანელია ან/და სხვა გარემოება) და განაცხადოს თვითაცილება. აღნიშნულიდან გამომდინარე ის ვერ მიიღებს მონაწილეობას კონკრეტული ფაკულტეტის/ინსტიტუტის საკონკურსო განაცხადების განხილვაში.

5. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შესახებ კომისიისათვის ცნობილი გახდება კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის ამ წევრის მიერ გაკეთებული შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

6. კონკურსში მონაწილეობის მიზნით ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის პირმა (შემდეგში - კონკურსანტმა) ელექტრონულად (საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან/და დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ შესაბამის ელექტრონულ პლატფორმაზე) **უნდა წარმოადგინოს** დაფინანსების განაცხადი (შევსებული **ფორმა N1**-ის ან კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად) და შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ინფორმაცია ღონისძიების შესახებ (თემატიკა ან/და სავარაუდო სამუშაო გეგმა; ჩატარების ადგილი, თარიღი და ფორმატი; ორგანიზატორი დაწესებულება ან/და სხვ.);

ბ) ოფიციალური მოწვევის (მასპინძელი ორგანიზაციის/დაწესებულების თანხმობა) ორიგინალი და ქართულ ენაზე ნათარგმნი;

გ) მოხსენების მოკლე ტექსტი ქართულ ან/და მოხსენების ტექსტი/პრეზენტაცია კონფერენციის ერთ-ერთ სამუშაო ენაზე; მოხსენების შესაბამისი, გამოქვეყნებული ან/და გამოსაქვეყნებლად მომზადებული სამეცნიერო ნაშრომი/სტატია;

დ) შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის/ინსტიტუტის განყოფილების სხდომის გადაწყვეტილება (ოქმის ამონაწერი), ღონისძიებაში დასაქმებულის მონაწილეობის მიზანშეწონილობის შესახებ;

ე) სხვა დოკუმენტაცია, რასაც ითვალისწინებს შესაბამისი სამეცნიერო ღონისძიება და საჭიროა დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

7. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მიერ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსების გადაწყვეტილების მიღებისას საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) განსახორციელებელი ღონისძიებისა და ორგანიზატორი დაწესებულების რეიტინგი;

ბ) კონკურსანტის მოხსენების შესაბამისობა ბსუ-ს კვლევის პოლიტიკის მიხედვით დამტკიცებულ ძირითადი სამეცნიერო-კვლევით მიმართულებების სამეცნიერო საქმიანობის გეგმასთან/ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევის მუშაობის გეგმასთან და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობა (Web of Science, Scopus, ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით) ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში ან/და ქართველოლოგიური მიმართულებით გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიები და მათ ციტირება);

გ) ქვეყნის გარეთ (უცხოეთში) გასამართ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის (მივლინების) დაფინანსებისათვის დასაქმებულზე 1 კალენდარული წლის განმავლობაში გაცემული თანხა არ უნდა აღემატებოდეს: მოხსენების წარდგენის შემთხვევაში - 2000 ლარს, პოსტერული მოხსენების წარდგენის შემთხვევაში - 1500 ლარს, ხოლო ონლაინ მოხსენების წარდგენის შემთხვევაში - 1000 ლარს. *(ცვლილება - N07-01/56 ; 17.11.2023)*

8. საკონკურსო კომისიამ უნდა განიხილოს საკონკურსო დოკუმენტები, კონკურსანტებთან გასაუბრების გზით დაადგინოს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოებები და კონკურსანტთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვით, უნდა მიიღოს შესაბამისი კონკურსანტის დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება მიიღებული უნდა იქნეს ღია

კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით ან/და კომისიის მიერ შემუშავებული კრიტერიუმის შესაბამისად განსაზღვრული სარეიტინგო ქულების დაანგარიშებით).

მუხლი 6. დაფინანსების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა

1. ბსუ-ს დასაქმებულის დაფინანსების განაცხადი (ინიციატივა) და ინიციატივის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება (აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის პირის შემთხვევაში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსის/მართვის ორგანოს სამსახურებრივი ბარათი და ფაკულტეტის საბჭოს/სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი, ასევე, რექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათი ამ წესით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების შედეგების თაობაზე), თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ღონისძიების გამართვამდე/ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებისათვის შესაბამისი აქტივობის განხორციელებამდე გონივრულ ვადაში.
2. წინამდებარე წესის დარღვევით წარმოდგენილი ან/და განხილული დაფინანსების შესახებ ინიციატივა (მათ შორის სამეცნიერო/ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება) და წარმოდგენილი ფაკულტეტის დეკანის/ინსტიტუტის დირექტორის შუამდგომლობა/რექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათი (ამ წესით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების შედეგების თაობაზე), დარჩება განუხილველი.
3. წინამდებარე წესის შესაბამისად წარმოდგენილი და განხილული დაფინანსების განაცხადის, მიღებული გადაწყვეტილებისა და შესაბამისი მართვის ორგანოს/თანამდებობის პირთა თანხმობის (ვიზირების, სამსახურებრივი ბარათის) გათვალისწინებით ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული საქმისწარმოების ინსტრუქციით განსაზღვრულ ვადაში (მაგრამ არაუგვიანეს ღონისძიების გამართვამდე 3 სამუშაო დღით ადრე) ამზადებს დასაქმებულის ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსების შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტს და წარუდგენს შესათანხმებლად (ვიზირებისათვის) და ხელმოსაწერად უფლებამოსილ პირებს.

მუხლი 7. ღონისძიებაში მონაწილეობის შედეგების შესახებ ანგარიში

1. ბსუ-ს დაფინანსებით განხორციელებული აქტივობის შემდეგ დასაქმებული ვალდებულია რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (გამოცემული ბრძანების გათვალისწინებით) წარუდგინოს სამსახურებრივი ბარათი/ანგარიში და შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღებული დაფინანსების თანხის მიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი/მივლინების შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები).
2. დასაქმებულის სამსახურებრივი ბარათი (ანგარიში) განხორციელებული აქტივობის შედეგების შეფასების მიზნით გადაეცემა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსს (სადაც დასაქმებულია დაფინანსებული პირი) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (თუკი ვიზირებული იყო დაფინანსების განაცხადი), ასევე გადაეცემა საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
3. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლების ანგარიშები უნდა განიხილოს შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭომ და სამეცნიერო საბჭომ და მიღებული შედეგის შესახებ ფაკულტეტის დეკანმა/ინსტიტუტის დირექტორმა სამსახურებრივი

ბარათი წარუდგინოს რექტორს (ბარათი ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს დამუშავებისათვის).

4. თუკი გამოვლინდება დაფინანსებული პირის მიერ შესაბამისი აქტივობის განუხორციელებლობა/ღონისძიებაში მონაწილეობის მიუღებლობა/გაცემული დაფინანსების თანხის არამიზნობრივად გამოყენება, დასაქმებული ვალდებულია დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში დააბრუნოს მიღებული თანხა ბსუ-ს ანგარიშზე.

მუხლი 8. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წახალისება სტატიის გამოქვეყნებისათვის

1. ბსუ-ს ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნების ფარგლებში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აფილირებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო აქტივობების წახალისებას, რათა ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ განვითარებასა და უნივერსიტეტში კვლევის ზოგადი დონის გაუმჯობესებას. *(ცვლილება - №07-01/17; 27.04.2023წ; N07-01/56 ; 17.11.2023)*

2. დასაქმებულის მიმართ წახალისების ღონისძიება ხორციელდება ერთჯერადად გასაცემი ფულადი ჯილდოს სახით, ბსუ-ს კვლევის პოლიტიკის მიხედვით დამტკიცებული ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების სამეცნიერო საქმიანობის გეგმის/ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევის მუშაობის გეგმის შესაბამისად, დარგის შესაბამის პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალში წინა ორი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული და Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ,,ბსუ-ს პერსონალის წახალისების მიზნისათვის განსაზღვრული ERIH PLUS ბაზაში შემავალი ჟურნალებისა და ქართველოლოგიური მიმართულებით გამოქვეყნებული სტატიისათვის ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად) ბაზებში ინდექსირებული სტატიისათვის/სტატიებისათვის, თუკი: *(ცვლილება - №07-01/58; 24.10.2024)*

ა) გამოქვეყნებულ სტატიაზე მითითებული იქნება სტატიის ავტორის აფილირება ბსუ-სთან და სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა (.....@bsu.edu.ge);

ბ) სამეცნიერო სტატია შესრულებული ან/და გამოცემული არ არის/არ ყოფილა ბსუ-ს შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში ან/და ბსუ-ს ან/და სხვა წყაროს დაფინანსებით.

3. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის, წახალისების თანხა (შემდეგში - ფულადი ჯილდო) შეადგენს:

ა) Web of Science ბაზაში ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული სტატისათვის - **არაუმეტეს 2500 ლარს** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით);

ბ) Web of Science ან Scopus ბაზაში ინდექსირებულ (იმპაქრ-ფაქტორის არ მქონე) ჟურნალში გამოქვეყნებული სტატისათვის - **არაუმეტეს 1875 ლარს** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით);

გ) ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით) ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალში (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ,,ბსუ-ს პერსონალის წახალისების მიზნისათვის განსაზღვრული ERIH PLUS ბაზაში შემავალი ჟურნალებისა და ქართველოლოგიური მიმართულებით გამოქვეყნებული სტატიისათვის

ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“) - **არაუმეტეს 1250 ლარს** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით); *(ცვლილება - №07-01/17; 27.04.2023; ამოქმედდეს 2024 წლიდან)*

4. სტატიის გამოქვეყნებისათვის ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის პირის მიმართ წახალისების ღონისძიების გამოყენების ინიციატივა ამ დასაქმებულის ან ფაკულტეტის დეკანის/ინსტიტუტის დირექტორის მიერ წარედგინება შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს/სამეცნიერო საბჭოს, გამოქვეყნებულ სტატიასთან (ნაბეჭდი/ორიგინალი) და გამოქვეყნებული სტატიის შესახებ შევსებულ და დადასტურებულ განაცხადთან ერთად (წინამდებარე წესზე თანდართული **N2 ფორმის** შესაბამისად, შემდეგში - **„სტატიის განაცხადი“).** წინამდებარე წესზე თანდართული **N2 ფორმის** შესაბამისად შევსებული სტატიის განაცხადის ფორმა, სტატიის ავტორის მიერ უნდა წარედგინოს („word“ ფაილი) ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურს (ელექტრონულ ფოსტაზე - science@bsu.edu.ge.), დადასტურებისათვის (სამსახურის უფლებამოსილი დასაქმებული ადასტურებს ხელმოწერით ან აკეთებს შესაბამის ჩანაწერს განაცხადის შენიშვნის გრაფაში). სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ განხილული სტატიის განაცხადი ეგზავნება სტატიის განაცხადის ავტორს და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს/ინსტიტუტის დირექტორს. იმ შემთხვევაში, როცა სტატიის ავტორები არიან ერთი და იმავე ფაკულტეტის/ინსტიტუტის აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის პირები, „სტატიის განაცხადი“ (ამ წესის **N2 ფორმა)** შესაძლებელია სამეცნიერო კვლევების სამსახურს გაუგზავნოს/წარუდგინოს ერთ-ერთმა ავტორმა (ასეთ შემთხვევაში, სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ განხილული სტატიის განაცხადი ეგზავნება სტატიის ყველა ავტორს და შესაბამის ფაკულტეტებს/ინსტიტუტებს). იმ შემთხვევაში, როცა <u>სტატიის ავტორები</u> არიან სხვადასხვა ფაკულტეტის/ინსტიტუტის აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის პირები, შესაძლებელია სამეცნიერო კვლევების სამსახურს გაუგზავნოს/წარუდგინოს ერთ-ერთმა (ასეთ შემთხვევაში, სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ განხილული სტატიის განაცხადი ეგზავნება სტატიის ყველა ავტორს და შესაბამის ფაკულტეტებს/ინსტიტუტებს), ხოლო სტატიის თითოეულმა ავტორმა, მის მიმართ წახალისების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ინიციატივა, უნდა წარუდგინოს შესაბამის ფაკულტეტს/ინსტიტუტს. ***(ცვლილება** - N07-01/51; 30.11.2022; N07-01/02, **19.02.2025)***

5. ფაკულტეტის საბჭო/სამეცნიერო საბჭო ადგენს სტატიის შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით) ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალში ან ქართველოლოგიური მიმართულებით გამოქვეყნებული სტატიის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს/სამეცნიერო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს დასაბუთებას წახალისების ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ.

5[1]. ფაკულტეტის საბჭო/ინსტიტუტის სამეცნიერო **საბჭო** სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ინიციატივას იხილავს სტატიის ავტორი ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის პირის (ების) მონაწილეობით (ან მის გარეშე, საკითხის განხილვაზე წერილობითი თანხმობის გათვალისწინებით). სტატიის ავტორის ინიციატივა (თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად) შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს/ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ განხილული უნდა იქნეს წარდგენიდან 5-10 სამუშაო დღის ვადაში. ***(დამატება** - N07-01/02, **19.02.2025)***

5[2]. სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ფაკულტეტის საბჭოს/ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებას <u>უნდა</u> ერთვოდეს წინამდებარე წესის **N3 ფორმის** შესაბამისად შედგენილი დანართი. აღნიშნული გადაწყვეტილება, თანდართულ დანართთან (წესის N3 ფორმა) და სტატიის ავტორთა განაცხადებთან ერთად (სკანირებული აქტები), გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში <u>ეგზავნება ბსუ-ს რექტორს</u> (საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით), ხოლო სტატიის ავტორს - ელექტრონულ ფოსტაზე. სტატიის ავტორი დასაქმებული უფლებამოსილია ფაკულტეტის საბჭოს/ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს, მისი გაცნობიდან (ელექტრონული წერილის მიღებიდან) 3 სამუშაო დღის ვადაში. სტატიის ავტორის საჩივარი განიხილება რექტორის ბრძანებით შექმნილი სააპელაციო კომისიის მიერ (შემადგენლობა: 1. რექტორის მოადგილე (სამეცნიერო მიმართულებით); 2. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი; 3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; 4. სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი; 5. იურიდიული დეპარტამენტის უფროსი). წარდგენილ საჩივარზე სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება (დასკვნა/რეკომენდაცია) მიიღება 3 სამუშაო დღეში და ეცნობება სტატიის ავტორს და შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს/ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება (დასკვნა) შეიძლება იყოს ორი სახის: ***(დამატება - N07-01/02, 19.02.2025)***

ა) <u>საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე</u> - რაც სტატიის ავტორის მიმართ წახალისების ღონისძიების გამოყენებისა და შესაბამისი ოდენობით ფულადი ჯილდოს გაცემის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველია;

ბ) <u>საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე</u> - რაც სტატიის ავტორის მიმართ წახალისების ღონისძიების გამოყენებისა და შესაბამისი ოდენობით ფულადი ჯილდოს გაცემაზე უარის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველია.

5[3]. სტატიის განაცხადის განხილვის თაობაზე ფაკულტეტის საბჭოს/ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილება თუკი არ შეესაბამება სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ სტატიის განაცხადში მითითებულ/დადასტურებულ ინფორმაციას/მონაცემს, სამეცნიერო კვლევების სამსახურის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია (შემადგენლობა: 1. რექტორის მოადგილე (სამეცნიერო მიმართულებით); 2. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი; 3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; 4. სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი; 5. იურიდიული დეპარტამენტის უფროსი და რექტორის ბრძანებით განსაზღვრული სხვა დასაქმებული, საჭიროების შესაბამისად). განსახილველ საკითხზე კომისიის გადაწყვეტილება (დასკვნა/რეკომენდაცია) შეიძლება იყოს ორი სახის: ***(დამატება - N07-01/02, 19.02.2025)***

ა) დასკვნა/რეკომენდაცია სტატიის ავტორის მიმართ წახალისების ღონისძიების გამოყენების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის თაობაზე;

ბ) დასკვნა/რეკომენდაცია სტატიის ავტორის მიმართ წახალისების ღონისძიების გამოყენებაზე უარის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის თაობაზე.

6. თანაავტორობით სტატიის გამოცემისას წახალისების თანხა (ჯილდო) თანაბრად გაიცემა (განაწილდება) სტატიის ავტორ ბსუ-ს აკადემიურ/სამეცნიერო თანამდებობის პირზე. *(ცვლილება - №07-01/17; 27.04.2023)*

7. სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებისათვის აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის პირისათვის გაცემული ფულადი ჯილდო ერთი კალენდარული წლისათვის არ უნდა აღემატებოდეს 2500 ლარს (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით).

8. გასული კალენდარული წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიისათვის/სტატიებისთვის დასაქმებულთა მიმართ წახალისების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ფაკულტეტის საბჭოს/სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება (წინამდებარე წესის **N3 ფორმის** მიხედვით შედგენილ საბჭოს ოქმის დანართთან ერთად) **ყოველი კალენდარული წლის 1 მარტამდე წარედგინება** ბსუ-ს რექტორს და ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ამზადებს ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ სამართლებრივ აქტის პროექტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურის, ბსუ-ს რექტორის მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირებით.*(ცვლილება - N07-01/51; 30.11.2022)*

9. თუკი გასულ წელს გამოქვეყნებული სტატია (გარდა ქართველოლოგიური მიმართულებისა) Scopus, Web of Science, ERIH PLUS სამეცნიერო ბაზაში აისახება მიმდინარე წელს, 1 მარტის შემდეგ, დასაშვებია დასაქმებულის განცხადების საფუძველზე განხილული იქნეს წახალისების ღონისძიების გამოყენების - ფულადი ჯილდოს გაცემის საკითხი, ამ მუხლით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გასულ წელს გამოქვეყნებული და სამეცნიერო ბაზებში მიმდინარე <u>წლის 1 მარტის შემდეგ სტატის ასახვის შემთხვევაში დასაქმებულის</u> ფულადი დაჯილდოების აქტის გამოცემის შემდეგ, დაუშვებელია მომდევნო კალენდარულ წელს იმავე სტატიისათვის დასაქმებულის ფულადი დაჯილდოება. *(დამატება - N07-01/51; 30.11.2022)*

10. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის პირი ვალდებულია აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების რეგულაციით დადგენილ ვადაში და წესით ბსუ-ს პორტალის შესაბამის მოდულში ასახოს იმ სტატიის შესახებ მონაცემები, რომლის გამოქვეყნებისათვის წინამდებარე წესის შესაბამისად მიღებული აქვს ფულადი ჯილდო (ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება დასაქმებულის შეფასების შედეგებში/დასაქმებულის მიმართ გატარდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციით გათვალისწინებული ღონისძიება). ***(დამატება - N07-01/02, 19.02.2025)***

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. 2021 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიისათვის/სტატიებისათვის დასაქმებულთა წახალისების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ფაკულტეტის საბჭოს/სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება ბსუ-ს რექტორს უნდა წარედგინოს 2022 წლის 1 ივნისამდე.

2. 2021 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიისათვის/სტატიებისათვის ბსუ-ს დასაქმებულის მიმართ წინამდებარე წესის მე-8 მუხლის თანახმად წახალისების ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას ფაკულტეტის საბჭოს/სამეცნიერო

საბჭოს გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ჩანაწერს დასაქმებულის სტატიის (განხორციელებული კვლევის) ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევით ინტერესებთან შესაბამისობის შესახებ, ნაცვლად ბსუ-ს კვლევის პოლიტიკის მიხედვით დამტკიცებული ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების სამეცნიერო საქმიანობის გეგმასთან შესაბამისობის შესახებ დასაბუთებისა.

3. 2021 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიისათვის/სტატიებისათვის ბსუ-ს დასაქმებულის არ მოეთხოვება წინამდებარე წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა სამსახურეობრივი ელექტრონული ფოსტის (.....@bsu.edu.ge) მითითების ნაწილში.

4. წინამდებარე წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში განხორციელებული 2023 წლის აპრილში შეტანილი ცვლილება ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით) ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებთან მიმართებით, **ამოქმედდეს 2024 წლიდან,** შესაბამისად, გავრცელდეს ბსუ-ს პერსონალის მიერ 2023 წელს გამოქვეყნებულ სტატიებზე. *(დამატება - №07-01/17; 27.04.2023)*

5. **პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალში** გამოქვეყნებული სტატიისათვის დასაქმებულის წახალისების თაობაზე, ასევე ბსუ-ს ან სხვა წყაროს დაფინანსებით გამოცემული სტატიისათვის წახალისების ღონისძიების გამოყენების შეზღუდვის შესახებ წინამდებარე წესის **მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში შეტანილი ცვლილება** *(№07-01/58; 24.10.2024)* **ამოქმედდეს და გავრცელდეს 2025 წელს გამოქვეყნებულ სტატიებზე** (შესაბამისად, ამ წესით ფულადი ჯილდო დასაქმებულზე გაიცემა 2026 წლიდან, პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალში 2025 წელს სტატიის გამოქვეყნებისა და შესაბამის ბაზებში ასახვის პირობების გათვალისწინებით). ***(დამატება - N07-01/02, 19.02.2025)***

6. **მიმდინარე 2025 წელს,** შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მიმართ წახალისების ღონისძიების გამოყენების შესახებ (ფულადი ჯილდოს გაცემის თაობაზე) ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის მიზნით, 2025 წლის **1 მარტამდე წარედგინოს** რექტორს, ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის გავლით, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს/სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება (წინამდებარე წესის **N3 ფორმის** მიხედვით შევსებულ დანართთან ერთად) ბსუ-ს კვლევის პოლიტიკის მიხედვით დამტკიცებული ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების სამეცნიერო საქმიანობის გეგმის/ინსტიტუტის **სამეცნიერო-კვლევის მუშაობის გეგმის შესაბამისად, 2023-2024 წლებში** გამოქვეყნებული **იმ სტატიისათვის**/სტატიებისთვის (მათ შორის კონფერენციის მასალები/კრებულები, შრომები, წიგნის თავი, სამეცნიერო წერილები), რომლებიც **ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS** (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ,,ბსუ-ს პერსონალის წახალისების მიზნისათვის განსაზღვრული ERIH PLUS ბაზაში შემავალი ჟურნალებისა და ქართველოლოგიური მიმართულებით გამოქვეყნებული სტატიისათვის ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად) **ბაზებში, თუკი** გამოქვეყნებულ სტატიაზე მითითებული იქნება სტატიის ავტორის აფილირება ბსუ-სთან და სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა (.....@bsu.edu.ge). ***(დამატება - N07-01/02, 19.02.2025)***

,,ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის **წახალისების წესის“ ფორმა *№1***

(ცვლილება - N07-01/51; 30.11.2022)

N	ბსუ-ს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დაფინანსების განაცხადი	
1.	**დასაქმებული/დაფინანსების განაცხადის ავტორი** (სახელი, გვარი, თანამდებობა)	
2.	**დასაქმებულის საკონტაქტო ინფორმაცია:** (ტელეფონი,ელფოსტა)	
3.	**ღონისძიების გამართვის ადგილი** (ქვეყანა, ქალაქი და დაწესებულება);	
4.	**ღონისძიების დასახელება** და განსახორციელებელი/შესასრულებელი **აქტივობა**	
5.	**აქტივობის განხორციელების პერიოდი:** 1. აქტივობის განხორციელების თარიღი/დღეები; 2. <u>გამგზავრების თარიღი;</u>	
6.	**ღონისძიების ჩატარების ფორმატი** (დასწრებით ან ონლაინ/დისტანციურად)	
7.	**ინფორმაცია ბსუ-დან მოთხოვნილი დაფინანსების თანხის და საერთო დაფინანსების შესახებ** (სრული, ნაწილობრივი, სხვა. დეტალურად აღნიშნეთ დაფინანსების წყარო (მგზავრობის, დღიური და სხვა)	
8.	**გამოსაყენებელი ტრანსპორტის სახეობა,** საჭიროების შემთხვევაში (მიმართულება, ტრანსპორტით გამგზავრებისა და დაბრუნების თარიღი)	
9.	**ინფორმაცია ღონისძიების დოკუმენტაციის შესახებ** (მოწვევის წერილი, ღონისძიების გეგმა/პროგრამა, მემორანდუმი/ხელშეკრულება, ელექტრონული წერილი),	

10	**ინფორმაცია დასაქმებულის ღონისძიებაში მონაწილეობის პერიოდში უნივერსიტეტში შესასრულებელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გადავადების შესახებ** (საჭიროების შემთხვევაში მიეთითოს განრიგიც)	
11	**მიმდინარე კალენდარულ წელს დასაქმებულზე ბსუ-ს ბიუჯეტიდან გაცემული დაფინანსების საერთო მოცულობა,** მათ შორის **ქვეყნის გარეთ** (უცხოეთში) გასამართ სამეცნიერო ღონისძიებაში (მივლინების) მონაწილეობისთვის **მიღებული დაფინანსების ოდენობა.**	-
12	**განსახორციელებელი ღონისძიების სამეცნიერო ღირებულება/ორგანიზატორი დაწესებულების რეიტინგი** (ვებ.გვერდის მისამართის და მოკლე აღწერილობა/ **ანოტაცია)**	
13	**ბოლო 5 წლის განმავლობაში კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობა** (Web of Science, Scopus, ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით) **ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში ან/და ქართველოლოგიური მიმართულებით - გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიები და მათ ციტირება).**	
14	**სხვა ინფორმაცია,** დასაქმებულის შეხედულებით	
დაფინანსების განაცხადი შეთანხმებულია		
	სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ვისთანაც შეთანხმებულია სააუდიტორიო მეცადინეობის აღდგენის განრიგი (დარგობრივი დეპარტამენტის თანხმობა, სადაც ხორციელდება დასაქმებულის მიერ განსახორციელებელი სასწავლო კურსი)	
	დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელი/ სტრუქტურული ერთეულის უფროსი	

დასაქმებულის ხელმოწერა

განაცხადის წარმოდგენის თარიღი:_____

,,ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის **წახალისების წესის“**
ფორმა N2 *(დამატება - N07-01/51; 30.11.2022)*

სტატიის ავტორის ნაშრომის გამოქვეყნების/ საერთაშორისო ბაზებში ინდექსირების
დადასტურების ფორმა

ბსუ-ს ფაკულტეტი/ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი)
ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი/ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტის) განყოფილება:
აკადემიური /სამეცნიერო თანამდებობის პირის სახელი, გვარი, დაკავებული თანამდებობა

	ავტორები, ყველა თანაავტორის მითითებით (კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტი)	სტატიის სათაური	ჟურნალის/კრებულის დასახელება, ნომერი. ISSN, ISBN, DOI **პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი,** გამოცემის წელი	**ინდექსირების ბაზა, სადაც იძებნება პუბლიკაცია (Scopus, Web of Science, Erih Plus)**	სამეცნიერო ბაზის დამადასტურებელი ბმული	**წახალისების ღონისძიება - გასაცემი ფულადი ჯილდოს ოდენობა**	**შენიშვნა**
1.							
2.							
3.							

,,ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის **წახალისების წესის“**
ფორმა N3 *(დამატება - N07-01/51; 30.11.2022)*

გამოქვეყნებული სტატიისათვის/სტატიებისთვის დასაქმებულთა მიმართ ------- წელს წახალისების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ფაკულტეტის საბჭოს/სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების დანართის ფორმა

№	**სტატიის ავტორის/ ყველა თანაავტორის სახელი, გვარი** (ბსუ-ში დაკავებული აკადემიური/ სამეცნიერო თანამდებობის მითითებით)	**ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის/ინსტიტუტის განყოფილების** დასახელება	სტატიის სათაური	ჟურნალის/კრებულის დასახელება; ნომერი; **ISSN, ISBN, DOI პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი, გამოცემის წელი**	**ინდექსირების ბაზა, სადაც იძებნება პუბლიკაცია** (Scopus, Web of Science, Web of Science იმპაქტ ფაქტორიანი, Erih Plus), დამადასტურებელი ბმულის მითითებით	**წახალისების ღონისძიება - გასაცემი ფულადი ჯილდოს ოდენობა**
1.						
2.						
3.						